



მსირა მენარეოზის დაბეგვრის მიმდინარე პრობლემების სრულყოფის ამოცანები

რეზიუმე

ზურაბ ჩინჩლაძე

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: zukachinchladze@gmail.com

სტატიაში დასაბუთებულია, რომ იმ ქვეყნებში სადაც სამუშაო ძალის დასაქმების ერთ-ერთ მთავარ არეალს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციის სამოქალაქო სფერო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საშემოსავლო გადასახადების განსაზღვრისა და მობილიზაციის სახელმწიფო სისტემას. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის ბაზაზე, საბუთდება, რომ საქართველოში, ის სამეწარმეო ერთეულები, რომლებიც არ ექვემდებარებიან "კანონით მეწარმეობის შესახებ" რეგულირებას, არ იყენებენ დაქირავებულ შრომას, საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ განისაზღვრებიან, როგორც "მცირე" და "მიკრო" მეწარმეები, საჭიროებენ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ზუსტ და სამართლიან სისტემას. აქ მეწარმის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი მოქმედებს, რომლის შემდგომი სრულყოფა დამოკიდებულია ამ საწარმოთა სტატუსის განსაზღვრაზე და მათთვის შრომითი ნორმატივების შემუშავებაზე.

საშემოსავლო გადასახადის „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი“

საქართველოში 2013 წლის პირველი იანვრიდან, მას შემდეგ რაც ამოქმედა "კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ", შეიძლება ითქვას საგადასახადო პრობლემების განხილვაზე ერთგვარი არდადეგები გაჩნდა. არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გამოუტანია სამსჯელოდ პრინციპული მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე ფინანსური და ფისკალური პოლიტიკას შეეხებოდა. მართალია, გარკვეული ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადის მობილიზების და ადმინისტრირებისა წესებში, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში „ესტონური მოდელის" სახელით გახდა ცნობილი, მაგრამ ეს საკითხი ქვეყანაში წარმოებული დამატებული ღირებულების რეინვესტირების პრობლემის გადასაწყვეტად შემუშავდა და არა საკუთრივ ქვეყ-

ნის საჯარო ფინანსური სიტემის მოწესრიგების მიზნით.¹ ასევე, ღონისძიებები, რომლებიც გატარდა ავტომობილის საწვავზე და იმპორტირებული ავტომობილების დაბეგვრის აქციზური განაკვეთის ზრდის მიმართულებით კერძო ხასიათის ფისკალურ ამოცანას უკავშირდებოდა და თავისი გააზრებულობის ღონით ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. მაგალითად რამდენად მიზანშეწონილია დაიბეგვროს აქციზით მიმწოდებელი და არა მომხმარებელი? ხომ არ გამოიწვევს ეს საბითუმო და საცალო ბაზრების ურთიერთ დისტანცირებას და ახალი აგენტების ბაზარზე შესვლის პირობების გაუარესებას? ჩნდება სხვა კითხვებიც, რომელზედაც პასუხის გაცემა ჩვენი საგადასახადო სიტემის შემდგომი სრულყოფისათვის აუცილებელია, მაგრამ ამ სტატიის ფარგლებში მათზე ვერ შევჩერდებით.

მიმდინარე პერიოდში ჩვენს ქვეყანაში უაღრესად აქტუალურია ახალი, მცირე მოცულობის სამეწარმეო ინიციატივების საგადასახადო სიტემაში ჩართვა. ამ მიზნით, მიმდინარე 2018 წელს, ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, საგადასახადო ადმინისტრირების სიტემაში ცვლილებები შევიდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის პირობებში მოქმედი მეწარმეებისათვის განხორციელებული ცვლილებები. როგორც ცნობილია, საშემოსავლო გადასახადის "სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი" ნიშნავს რომ მეწარმე არაა ვალდებული სახელმწიფოს წინაშე უზრუნველყოს შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის მობილიზაცია. ასეთი რეჟიმით იბეგრებიან მცირე (რომელთა საქონელბრუნვა და მომსახურეობის მოცულობა წელიწადში არ აღემატება 100 000 ლარს) მეწარმეები და მიკრო (რომელთა საქონლისა და მომსახურეობის ჯამი არ აღემატება 30 000 ლარს) და არ იყენებს დაქირავებულ შრომას.² მათდამი სახელმწიფოს აქვს შედარებით რბილი, ნაკლებად ხისტი ადმინისტრირების პირობები.

¹ შემოსავლების სამსახური, 2016. *მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი წესი*. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9918 [mopovebulia 01.02.2018]



მიუხედავად ამისა პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია და მოითხოვს სპეციალურ ანალიზს.

როგორც წესი, მიკრო და მცირე ბიზნესის დაბეგვრაზე საუბრისას მხედველობაში აქვთ პირდაპირი გადასახადი, რომელიც ამოიღება წარმოშობის ადგილიდან, მაგრამ მისი ფორმირების თავისებურებები უკავშირდება დროებით და შემთხვევით პირობებს არაორგანიზებულ საბაზრო პირობებს და ამიტომ მათი საბუღალტრო ანგარიშებში მოქცევა შეუძლებელია. შესაბამისად ამ შემთხვევაში მეწარმეებსა და საგადასახადო სამსახურს შორის ყალიბდება პარტნიორული ურთიერთობები, რომელთა განვითარებაც ორმხრივი ხელსაყრელობის პრინციპიდან გამომდინარეობს. ჩვენი ეკონომიკის ეს სფერო, მიკრო და მცირე მეწარმეობა, მნიშვნელოვანია და ქვეყანაში დასაქმების ბაზანს დიდად უწყობს ხელს. გარდა ამისა აქ დაბეგვრის სისტემის მოწესრიგება სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ასევე მნიშვნელოვანია. შესაბამისად აუცილებელია სპეციალური საკვლევი სამუშაოებს ჩატარება ამ მიმართულებით.

საშემოსავლო გადასახადის დაწესებისა და მობილიზების არსებული სისტემები

დღეისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადის განსაზღვრისა და მობილიზების სხვადასხვა მეთოდები მოქმედებს. მათ შორის განსაკუთრებით გავრცელებულია:

♦ **პროპორციული საგადასახადო სისტემა**, უწოდებენ ისეთ საგადასახადო მექანიზმს, როდესაც საგადასახადო განაკვეთი არის ფიქსირებული და არ იცვლება მიუხედავად შემოსავლების სიდიდისა. საქართველოში ამჟამად გამოიყენება პროპორციული საგადასახადო სისტემა როგორც პერსონალურ საშემოსავლო გადასახადზე, ისე კორპორატიული მოგების გადასახადის შემთხვევაში.²

♦ **რეგრესული საგადასახადო სისტემა** - უწოდებენ, როდესაც დაბალშემოსავლიანი პირები იხდიან პროცენტულად უფრო მეტს, ვიდრე მაღალშემოსავლიანი პირები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება აღნიშნული საგადასახადო სისტემა, მაგალითისთვის, გაყიდვის გადასახადი შესყიდვის თანხის ზრდასთან

ერთად პროცენტულად მცირდება.⁴ ეს არ ნიშნავს, რომ მცირდება ჯამური რაოდენობრივი გადასახადი, პირიქით, რაოდენობრივად მოზიდული გადასახადი იზრდება, თუმცა პროპორციულად უფრო ნაკლებს იხდის მომხმარებელი. რეგრესულ საგადასახადო სისტემად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ შემთხვევები, როდესაც მოგების ან სხვა ნებისმიერი ტიპის გადასახადი არის ფიქსირებული და გამოსატულია რიცხობრივად იმ ქვეყნის ვალუტაში. ასეთი სისტემა გავრცელებულია ძირითადად ე.წ. ოფშორული ზონის ქვეყნებში, სადაც მოგების წლიური გადასახადი ფიქსირებული არის მაგალითად \$700 ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში. ამ შემთხვევაში, კომპანიას რაც უფრო მაღალი შემოსავალი აქვს, პროპორციულად უფრო ნაკლებს იხდის მოგების გადასახადს და პირიქით, დაბალშემოსავლიანი კომპანიების გადასახადი პროცენტულად გამოდის უფრო მაღალი. თუ რატომ არსებობს ასეთი გადასახადის სისტემები ზოგ ქვეყანაში გამოწვეულია სტრატეგიული მიდგომით, რომელიც გათვლილია მოკლევადიან პერიოდში გადასახადების სწრაფი მობილიზაციისთვის. ძირითადად ეს გათვლილია უცხოურ კომპანიებზე, რომლებიც, თავის მხრივ, იყენებენ იმ ქვეყნის საგადასახადო სისტემის შედგენილებას. მეორეს მხრივ, სახელმწიფო აღნიშნული ფორმით იზიდავს უცხოური კომპანიების დიდ რაოდენობას, რომლებიც მართალია დაბალ და ფიქსირებულ მოგების გადასახადს იხდიან, თუმცა საბოლოო ჯამში, რაოდენობის ხარჯზე იღებენ სოლიდურ შემოსავალს.

♦ **პროგრესული საგადასახადო სისტემა** - როდესაც საგადასახადო განაკვეთი პროცენტულად იზრდება, შემოსავლების ზრდასთან ერთად. შესაბამისად, ინდივიდს ან კორპორაციას რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს, იხდის უფრო მეტ გადასახადს როგორც რაოდენობრივად, ისე პროცენტულად.

პროგრესული საგადასახადო სისტემა ძირითადად გამოიყენება განვითარებულ და მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, თუმცა, არა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. პირიქით, ზოგ შემთხვევაში რეგრესული საგადასახადო სისტემაც კი გვხვდება. პროგრესული გადასახადების ძირითად მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში უთანასწორობის აღმოფხვრა და ღარიბი მოსახლე-

² საქართველოს პარლამენტი, 2016. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. [ინტერნეტი] Available at: <http://taxinfo.ge/images/stories/kodeksi/cvllilebebi/cvllileba13.05.2016-1.pdf> [mopovebulia: 01.02.2018]

³ D. Walker 2005, *Why Flat Means Unfair*, Tax, Accessed on: <https://www.theguardian.com/money/2005/sep/06/tax.society> (01.07.2017)

⁴ M. Dathan, 2015, *The Poor are Paying a Bigger Proportion of Tax than the Rich and the Gap is widening*. UK Politics, Accessed on: <http://www.independent.co.uk/news/uk/politics/the-poor-are-paying-a-bigger-proportion-of-tax-than-the-rich-and-the-gap-is-widening-10353954.html> (01.06.2017)



ობისთვის გარკვეული შედაგათის გაკეთება.

თანამედროვე პირობებში, პროგრესული გადასახადების სისტემა გამოჩნდა დიდ ბრიტანეთში მეთვრამეტე საკუნის ბოლოს და მისი მიზანი იყო შემოსავლების გაზრდა კონკრეტული საჭიროებისთვის. შემდეგ რამდენჯერმე გაუქმდა და თავიდან დაწესდა პროგრესული გადასახადების სისტემა გაერთიანებულ სამეფოში სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის შუა რიცხვებიდან მოყოლებული პროგრესული გადასახადები ფართოდ გამოიყენებოდა დიდ ბრიტანეთში.⁵ ამერიკის შეერთებულ შტატებში კი პროგრესული გადასახადების სისტემა დაინერგა 1862 წელს და დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული საგადასახადო სისტემა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სისტემად მსოფლიოში.⁶

პროგრესული გადასახადების პრინციპს წარმოადგენს შემოსავლების ე.წ. დიაპაზონი. სხვადასხვა ქვეყანაში განსაზღვრულია ადამიანის შემოსავლების ჩარჩო და მინიჭებული აქვს შესაბამისი საგადასახადო განაკვეთი. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს შვიდი საშემოსავლო დანაყოფი.

ზღვრული საგადასახადო სისტემა

პროგრესული საგადასახადო სისტემით გადასახადი ოდენობის გამოთვლისას ხშირად იყენებენ ზღვრული გადასახადის სისტემას. რაც ნიშნავს, რომ წინასწარ დგინდება საგადასახადო განაკვეთის უმცირესი ზღვარი და შემდეგ მის საფუძველზე ხდება შემდეგ საფეხურებზე გადასახადების ღარიცხვა. ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის შემთხვევაში ინდივიდი ან კორპორაცია იხდის არა ზუსტ გაზრდილ საპროცენტო განაკვეთს, არამედ ზღვრულის საფუძველზე დაჯამებულის. მაგალითისთვის, ავიღოთ ისევ ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევა. თუ პიროვნებას აქვს შემოსავალი 10 000 დოლარი წელიწადში, მისი დაბეგვრა პროგრესული საგადასახადო სისტემით ხდება შემდეგნაირად: 10 000 დოლარი შემოსავალი ვარდება მეორე საფეხურზე, შესაბამისად, 9 275 დოლარი (ქვედა ზღვარი) იბეგრება წინა საფეხურის საპროცენტო განაკვეთით 10%, ხოლო დანარჩენი სხვაობა 750 დოლარი იბეგრება 15%-

ით. საბოლოო ჯამში, ამ ადამიანის წლიური საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს 1 036,25 დოლარს, და არა 1 500 დოლარს, ვინაიდან მეორე საფეხურის გადასახადი არის 15%.⁷ ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის სიმწირე, მარგინალური გადასახადის არსებობის შესახებ, იწვევს ბევრ გაუგებრობას, კრიტიკას და აყალიბებს ცნობიერებას თითქოს პროგრესული გადასახადი მოტივაციას უკარგავს ინდივიდს ან კორპორაციას, რომ ჰქონდეს უფრო მეტი შემოსავალი.

ზღვრული საგადასახადო სისტემის მიხედვით, სუფთა შემოსავალი (ნეტ) არასდროს არ იკლებს ჯამური შემოსავლის ზრდის შემთხვევაში. კიდევ ერთი მაგალითის განხილვის საფუძველზე უფრო ნათელი გახდება, თუ როგორ გამოიყურება ზღვრული გადასახადის ეფექტიანობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები პიროვნებისათვის, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენს მაგალითად 100 000 დოლარს, საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

$$\$ 9\,275 * 10\% + \$ 28\,375 * 15\% + \$ 53\,500 * 25\% + \$ 8\,850 * 28\% = \$ 21\,036,75$$

გამოვიდა, რომ ადამიანი, რომლის წლიური შემოსავალიც არის 100 000 დოლარი, საბოლოოდ, იხდის 21 036 დოლარს საშემოსავლო გადასახადს.

საგადასახადო სისტემას გამოყავს აღნიშნული ზღვრული გადასახადის ეფექტიანობის ნორმაც. პროგრესული გადასახადების სისტემით დათვლილი წლიური საშემოსავლო გადასახადი კონკრეტულ მაგალითზე შეადგენს 21 036 დოლარს, რაც არის საერთო შემოსავლების 21,04% ($\$21036/\100000). 21,04% პროცენტი წარმოადგენს ამ პიროვნების ეფექტურ გადასახადს, რაც ნიშნავს, რომ თავისი მთლიანი შემოსავლების 21,04% გადახდა უწევს ყოველწლიურად, თუ მისი შემოსავალი შეადგენს 100 000 დოლარს. ეფექტური გადასახადი იზრდება მსგავსად პროგრესული გადასახადისა, რაც უფრო მაღალი არის შემოსავლები, მით უფრო მაღალი გამოდის ეფექტური გადასახადიც, თუმცა პროპორციულად ის უფრო დაბალი არის, ვიდრე საფეხურების მიხედვით გამოყოფილი საპროცენტო განაკვეთები, გარდა პირველი საფეხურისა, როდესაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იგივეა, რაც მინიჭებული პროცენტი.

⁵ HM Revenue & Customs, 2013, *A Tax to beat Napoleon*, A Brief History of Income Tax, Accessed on: <http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20130127153155/http://www.hmrc.gov.uk/history/taxhis1.htm> (01.06.2017)

⁶ James, Kathryn (2011). "Exploring the Origins and Global Rise of VAT". *Journal of Economics*. 35 (4): 15–22.

⁷ Davies L., 2017, 2016 Tax Brackets, Taxes, Source online: <https://www.bankrate.com/taxes/2016-tax-bracket-rates/> Accessed: 03.02.2018



საშემოსავლო გადასახადის სრულყოფის მიმართულებები

შედარებისთვის, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში საშემოსავლო გადასახადი არის პროპორციული და ფიქსირებული ერთ საპროცენტო განაკვეთზე რაც არის 20%.⁸ შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა ადამიანი იღებს 10 000 ლარის ოდენობის წლიურ შემოსავალს თუ 100 000 ლარს, ორივე შემთხვევაში იბეგრება 20%-ით, ხოლო სხვა ქვეყნებში, სადაც პროგრესული საგადასახადო სისტემა მოქმედებს და კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 20%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდიან პირები, ვისაც დაახლოებით 90 000 დოლარი აქვთ წლიური შემოსავალი. ნაკლები შემოსავლების მქონე ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, საბოლოო ჯამში, იხდიან უფრო დაბალ გადასახადს.

არგუმენტები იმის თაობაზე, რომ პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღება საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობისთვის გაზრდის საშემოსავლო გადასახადს არის დიდწილად მცდარი, თუმცა, რა თქმა უნდა, აქვს შემოსავლების ჩარჩოების როგორი გადანაწილება მოხდება. ყველაზე დიდი კრიტიკა, რაც მოსდევს პროგრესული გადასახადების სისტემას არის დისკრიმინაციული ფაქტორი მაღალშემოსავლიანი პირების მიმართ. რატომ უნდა იბეგრებოდეს ის პიროვნება უფრო მაღალი პროცენტით, რომელიც გაცილებით მეტს მუშაობს, მოახდინა ინვესტირება თავის განათლებაში და შესაბამისად აქვს უფრო მაღალი შემოსავალი და მეორეს მხრივ დაბალი პროცენტით იბეგრებოდეს ის, ვინც სხვადასხვა მიზეზების გამო აქვს დაბალი შემოსავალი? ამ მოსაზრების საპირისპიროდ პროგრესული საგადასახადო სისტემის მხარდამჭერ პირებს მოჰყავთ არგუმენტი რომ, დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანი ხარჯავს პროცენტულად უფრო მეტს თავისი შემოსავლებისა, რათა დაიკმაყოფილოს საბაზისო საჭიროებები, ვიდრე მაღალი შემოსავლის მქონე პირები. შესაბამისად, აღნიშნული საგადასახადო სისტემა ეხმარება დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებს დარჩეთ მეტი სუფთა შემოსავალი, რასაც გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე პირისაგან იღებს უფრო მეტს, რის ხარჯზეც აბალანსებს და აღმოფხვრას სამოქალაქო უთანასწორობას.

ორივე მოსაზრებას აქვს თავისი მტკიცე არგუმენტები, რაც წარმოადგენს დაუსრულებელი დებატების თემას, ეკონომისტების, პოლიტიკოსების და სოციოლოგებს შორის. რთულია ითქვას რომელია უფრო მისაღები ან სწორი, ეს დიდწილად დამოკიდებულია ადამიანის ფილოსოფიაზე და მსოფლმხედველობაზე, არის ის უფრო ლიბერალი და კაპიტალისტური აზროვნების თუ - უფრო მემარცხენე სოციალისტური.

რახეც ნამდვილად შეიძლება მსჯელობა არის, იმ შემთხვევაში თუ დაინერგება პროგრესული გადასახადების სისტემა, უნდა გავრცელდეს ის ფიზიკურ პირებზე, კორპორაციებზე, თუ ორივეზე ერთად? კორპორატიული გადასახადი, ანუ იგივე მოგების გადასახადი ხშირ შემთხვევაში არის ფიქსირებული და არ იცვლება შემოსავლების ზრდასთან ერთად. ეკონომისტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოგების გადასახადი არ უნდა იყოს ზრდადი და განსხვავებული სახეადასხვა ორგანიზაციებისთვის. არგუმენტისთვის მოყავთ ორი კომპანიის მაგალითი, ერთის მხრივ კომპანია, რომელიც აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას და წლების მანძილზე არ გადის მოგებაზე, ამავდროულად ყავს მდიდარი მომხმარებელი და მაღალანაზღაურებადი თანამშრომლები და მეორეს მხრივ მასშტაბური კომპანია, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ნივთებს და რომლის ძირითადი მომხმარებელი არის დაბალშემოსავლიანი მაცხოვრებელი და ამავდროულად კომპანიას აქვს მაღალი შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ დაწესდება პროგრესული გადასახადი, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელი კომპანია გადაიხდის ძალიან დაბალ გადასახადს, ხოლო საყოფაცხოვრებო ნივთების მწარმოებელ კომპანიას მოუწევს მაღალი გადასახადების გადახდა, რომელიც მოზიდული უნდა იქნას დაბალშემოსავლიანი მომხმარებლისაგან.

საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, გააჩნია ბიზნეს ინდუსტრიას, მაგრამ ნებისმიერი ზრდა მოგების გადასახადისა პირდაპირ აისახება მომხმარებლის ჯიბეზე. შესაბამისად, როგორც ვახსენეთ, დიდწილად ეს დაწოლა განხორციელდება ისევ დაბალშემოსავლიან მომხმარებელზე. დამატებით, იმის გათვალისწინებით თუ გაუნაწილებელი მოგება არ დაიბეგრება და ჩაბრუნდება რეინვესტიციის სახით, პროგრესული გადასახადი მოგებაზე გამოიწვევს ხარჯებს მუდმივ რეინვესტირებას ან ხელფასად გაცემას.

შესაბამისად, თუ საუბარი იქნება პროგრესული გადასახადების დანერგვაზე, უფრო მი-

⁸ პარლამენტი, ს., 2016. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.



ზანშეწონილი იქნება, რომ იგი გავრცელდეს საშემოსავლო გადასახადზე. ერთის მხრივ ის შეღავათს მისცემს დაბალშემოსავლიან მოსახლეობას და მეორეს მხრივ უფრო მაღალშემოსავლიანი ნაწილიდან ამოიღებს იმ დანაკარგს, რომელიც დააბალანსებს ან უფრო მეტსაც შეიტანს სახელმწიფო ბიუჯეტში.

დასკვნები და წინადადებები

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დადგენისა და მისი მობილიზაციის პრობლემა მუდმივად აქტუალურია. როდესაც მუდმივად მცირდება ირიბი გადასახადების ხვედრითი წილი მთელი ფინანსური ტვირთი წყაროსთან დაბეგრული შემოსავლებზე მოდის. საქართველოში

პრობლემა უკავშირდება მცირე და მიკრო ბიზნესს ერთეულებს. ამიტომ, აქტუალურია საშემოსავლო გადასახადის შემდგომი სრულყოფა განხორციელდეს სწორედ ამ მიმართულებით. (1) განისაზღვროს მცირე და მიკრო ბიზნესის ეკონომიკური მნიშვნელობა მისი საწარმო ფაქტორებთან ურთიერთობიდან გამომდინარე. (2) ამ მიზნისათვის საჭიროა მათი სპეციალური აღრიცხვა და შემუშავდეს მათთვის ხელსაყრელი ფინანსური დავთრები საგადასახადო აღმინისტრაციასთან ურთიერთობისათვის. (3) მიეცეთ მათ უფლება გამოიყენონ დაქირავებული შრომა, თუ დაასაქმებენ სტუდენტ ახალგაზრდებს, ან ცალკეულ შემთხვევაში აიყვანონ შეგირდებს და ამისათვის არ დაეკისროთ კორპორატიული ვალდებულებები.

ლიტერატურა

1. შემოსავლების სამსახური, 2016. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი წესი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9918 [მოპოვებულია 01.02.2018]
2. საქართველოს პარლამენტი, 2016. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. [ინტერნეტი] Available at: <http://taxinfo.ge/images/stories/kodeqsi/cvllilebebi/cvllileba13.05.2016-1.pdf> [მოპოვებულია: 01.02.2018]
3. D. Walker 2005, Why Flat Means Unfair, Tax, Accessed on: <https://www.theguardian.com/money/2005/sep/06/tax.society> (01.07.2017)
4. M. Dathan, 2015, The Poor are Paying a Bigger Proportion of Tax than the Rich and the Gap is widening. UK Politics, Accessed on: <http://www.independent.co.uk/news/uk/politics/the-poor-are-paying-a-bigger-pro>

- portion-of-tax-than-the-rich-and-the-gap-is-widening-10353954.html (01.06.2017)
5. HM Revenue & Customs, 2013, A Tax to beat Napoleon, A Brief History of Income Tax, Accessed on: <http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20130127153155/http://www.hmrc.gov.uk/history/taxhis1.htm> (01.06.2017)
6. James, Kathryn (2011). "Exploring the Origins and Global Rise of VAT". Journal of Economics. 35 (4): 15-22.
7. Davies L., 2017, 2016 Tax Brackets, Taxes, Source online: <https://www.bankrate.com/taxes/2016-tax-bracket-rates/> Accessed: 03.02.2018
8. პარლამენტი, ს., 2016. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, თბილისი: საქართველოს საკანონდებლო მაცნე

THE TASKS OF IMPROVING CURRENT PROBLEMS OF SMALL BUSINESS TAXATION

ZURAB CHINCHALADZE
PhD of GTU

Summary

The article justifies in the country where the one of the main sources of employment is the entrepreneurship and enterprises, the great attention is paid towards the determination of the income tax and to the system of collecting taxes. Based on the analysis of international experience, is justified, that in Georgia, those entities that are not obliged to the regulations by the "law on enterprises", do not use hired force, are defined by the revenue service as micro and small enterprises, are in need of right and correct income tax system.

Keywords: SME, micro and small enterprises, progressive tax, regressive, marginal tax